საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოდოგანი

გოდოგანი, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. წყალწითელას (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ბროლისქედი, ნაგარევი, ჭალასთავი). ზ. დ. 260 მ, თერჯოლიდან 27 კმ, ქუთაისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 კმ. 1,8 ათ. მცხ. (2002).

გ. ცნობილია მარმარილოსა და კირქვის საბადოებით. სოფლის მახლობლად არის კორპის მუხის ტყე (150 ჰა), კარსტული მღვიმე – საკაჟია.

გ-ში დგას 1873 აგებული დარბაზული ეკლესია. დას. შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის ამშენებელი ოსტატი ისიდორე ბერეკაშვილი (იხ. სტ. ბერეკაშვილები) და ძეგლის აშენების თარიღი. ეკლესია მოქმედია. სოფელში დგას აგრეთვე X ს. ღვთაების ეკლესია.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.